

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

### **პროგრამის მიზანია:**

1. ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ფართო ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებულს შესძინოს ბიზნეს-საქმიანობისა და მისი ფუნქციონალური სფეროების შესახებ პრაქტიკული კვლევისა და დაგეგმვისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, საბუნებისმეტყველო და სხვა დარგების ინტერდისციპლინური სწავლების ჰარმონიული და ზომიერი კომბინაციით.

2. აღჭურვოს და განუვითაროს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის საჭირო უნარ-ჩვევები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად და ბიზნესპროცესების მართვაში მონაწილეობის მისაღებად ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ბუღალტერიის და სხვა მიმართულებით.

3. შეუქმნას კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

### **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**

1. განიხილავს ბიზნესისა და მეწარმეობის განხორციელების თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებს და კონცეფციებს;
2. დეტალურად აღწერს ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებს, მათ შორის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვის და მართვის მექანიზმებს; მარკეტინგული საქმიანობის მართვის, დაგეგმვის, კონტროლის და მარკეტინგული კვლევის მეთოდებს; მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; საფინანსო ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ძირითად პოსტულატებს.
3. ანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას და შეიმუშავებს ორგანიზაციის ადმინისტრაციული, საკადრო, სააღრიცხვო, ფინანსური, ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზებსა და რეკომენდაციებს, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით;
4. იყენებს ბიზნეს ღირებულებისა და მისი ზრდის შეფასების მეთოდებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, პროცესების ეფექტიანობისა და ფინანსური გადაწყვეტილების შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების საშუალებით;
5. ახდენს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და სახავს მისი მართვის გზებს, საჭირო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე;
6. შეიმუშავებს, ახორციელებს და კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით წარადგენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემავალ ფინანსების, მარკეტინგული კვლევის, ბიზნეს სტატისტიკის, ინოვაციური მეწარმეობის, ფინანსურ აღრიცხვის და/ან შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით შესრულებულ კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს.
7. საქმიანობისას ავლენს ლიდერობის უნარებს და მოქმედებს თანამშრომლობისთვის მისაღები პრინციპების გათვალისწინებით;
8. იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
9. აფასებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის, კორპორაციული შესაბამისობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას;
10. ადგენს საკუთარი სწავლის პროცესისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო

გეგმას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემავალ კონკრეტულ მიმართულებებში იდენტიფიცირებული კვალიფიკაციის გაძლიერების საჭიროებების შესაბამისად.

პროგრამაში მოცემული კონცენტრაციები, რომლებიც შინაარსობრივად წარმოადგენენ აღნიშნული სფეროს დარგობრივ მიმართულებებს ( მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები) ფოკუსირებულია ვიწრო მიმართულებით სწავლის შედეგების განმტკიცებაზე:

### **კონცენტრაცია - მენეჯმენტი**

1. განიხილავს ბიზნესის და ეკონომიკის რეალურ გარემოს, ახასიათებს მათში მიმდინარე პროცესებს, აფასებს და აანალიზებს ინტერპრეტაციულად.
2. ახდენს მონაცემების პოზიტიურ - ნორმატიულ ანალიზს, ბიზნესის შიდა და გარე გარემოს დეტერმინანტებს აყალიბებს სათანადო დასკვნით დებულებებს.
3. შეიმუშავებს სტრატეგიულ და ოპერატიულ მიდგომებს და იყენებს მათ პროექტირებისა და ოპერაციების მართვის პროცესში.
4. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შეიმუშავებს და განახორციელებს მენეჯმენტის მიმართულებით ნაშრომს პრაქტიკული კვლევის ელემენტებით და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმითა და ტექნოლოგიებით.

### **კონცენტრაცია - მარკეტინგი**

1. ამუშავებს მარკეტინგულ ინფორმაციულ მონაცემებს, შესაბამისი მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, მომხმარებელთა რეაქციისა და ქცევის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს. ბაზრის დივერსიფიკაციისა და სეგმენტაციის პრინციპებს, კონკურენციის გრძელვადიან ხედვას.
2. აფასებს მარკეტინგული სტრატეგიის ეტაპებს, მომხმარებელთა სტიმულირებისა და მოთხოვნა-განმსაზღვრელი ფასეულობების შექმნას და მისგან გამომდინარე მიწოდებას.
3. ერთმანეთისგან განასხვავებს ერთიანი მარკეტინგული პროცესის ცალკეულ ელემენტებს, მათ სპეციფიკასა და თავისებურებებს, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებს, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ნორმების პრინციპებს.
4. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შეიმუშავებს და განახორციელებს მარკეტინგის მიმართულებით ნაშრომს პრაქტიკული კვლევის ელემენტებით და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმითა და ტექნოლოგიებით.

### **კონცენტრაცია- ბუღალტრული აღრიცხვა**

1. აღწერს და აფასებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მიზანშეწონილობას, შესაბამის მიზნებსა და ეტაპობრივ თანმიმდევრობას; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ნორმატიული აქტების ეფექტიანად გამოყენების ინსტრუმენტებსა და მეთოდებს.
2. ამუშავებს ცალკეული პერსონალების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის მონაცემებს. უზრუნველყოფს სათანადო ფინანსური მასალებისა და ანგარიშების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
3. მონაცემთა დამუშავებისას იყენებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.
4. ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით პრაქტიკული

კვლევის ელემენტებით და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმითა და ტექნოლოგიებით.

### კონცენტრაცია - ფინანსები

1. ავლენს ფართო ცოდნას ფინანსების თანამედროვე თეორიებში, საფინანსო საქმიანობის პრაქტიკაში და მონაწილეობს დაგეგმვასა და მართვაში.
2. ამუშავებს ფინანსურ მონაცემებს ობიექტურად მოძიებული მასალების საფუძველზე; ცალკეული ინდივიდების, ორგანიზაციების საქმიანობაზე. აყალიბებს მისეულ ვარაუდებს და შესაბამის დასკვით დებულებებს.
3. ახდენს საფინანსო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს პოზიტიურ ნორმატიულ შეფასებას მიმდინარე ფინანსურ მოვლენებსა და პროცესებზე. აყალიბებს საკუთარ ინტერპრეტაციულ ხედვას.
4. მონაცემთა დამუშავებისას იყენებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის ციფრულ ტექნოლოგიებს.
5. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შეიმუშავებს და განახორციელებს ფინანსების მიმართულებით ნაშრომს პრაქტიკული კვლევის ელემენტებით და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმითა და ტექნოლოგიებით.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

[https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw\\_procesis\\_mart\\_inst\\_2020\\_SD.pdf](https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_procesis_mart_inst_2020_SD.pdf)

### სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	ფილოსოფიის შესავალი	5
2.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში - 1	5
3.	უცხოური ენა (ინგლისური B 1.1, გერმანული B 1.1, ფრანგული B 1.1, რუსული B1.1)	6

4.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში	4
5.	სამეწარმეო აზროვნება	5
6.	თავისუფალი კომპონენტი	5
7.	მიკროეკონომიკა	6
8.	უცხოური ენა (ინგლისური B 1.2, გერმანული B 1.2, ფრანგული B 1.2, რუსული B1.2)	6
9.	პრეზენტაციის და კომუნიკაციის ტექნიკა და ტექნოლოგიები	4
10.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში - 2	5
11.	ბიზნესის საფუძვლები	5
12.	კვლევის მეთოდების საფუძვლები	4
13.	უცხოური ენა (ინგლისური B 2.1, გერმანული B 2.1, ფრანგული B 2.1, რუსული B2.1)	5
14.	წერითი და ზეპირი მეტყველების ელემენტები	4
15.	მენეჯმენტის საფუძვლები	5
16.	მაკროეკონომიკა	6
17.	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	5
18.	ფინანსების საფუძვლები	5
19.	უცხოური ენა (ინგლისური B 2.2, გერმანული B 2.2, ფრანგული B 2.2, რუსული B2.2)	5
20.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	5
21.	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5
22.	თავისუფალი კომპონენტი	5
23.	საბანკო საქმის საფუძვლები	5
24.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5
25.	პროექტების მენეჯმენტი	5
26.	ფინანსური აღრიცხვა	5
27.	მარკეტინგის საფუძვლები	5
28.	სადაზღვევო საქმე	5
29.	თავისუფალი კომპონენტი	5
30.	საერთაშორისო ბიზნესი	5
31.	მენეჯერული აღრიცხვა	5
32.	ოპერაციული მენეჯმენტი	5
33.	ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	5
34.	ლიდერობა და გუნდის მართვა	4
35.	თავისუფალი კომპონენტი	5
36.	ფინანსური მენეჯმენტი	6
37.	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში	5
38.	გადასახადები და დაბეგვრა	5
39.	რისკმენეჯმენტი	5
40.	ბიზნეს-ურთიერთობები	5
41.	Business-Relationships	5

42.	ციფრული მარკეტინგი	5
43.	მომხმარებელთა ქცევა	5
	<b>კონცენტრაცია 1- მენეჯმენტი</b>	
44.	ორგანიზაციული ქცევა	5
45.	საინჟინრო ფსიქოლოგია და ერგონომიკა ბიზნესში	5
46.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	5
47.	ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	5
48.	საბაკალავრო ნაშრომი	5
	<b>კონცენტრაცია 2- მარკეტინგი</b>	
49.	საცალო ვაჭრობა	5
50.	რეკლამა და სტიმულირება	5
51.	საწარმოო მარკეტინგი	5
52.	სოციალური მარკეტინგი	5
53.	საბაკალავრო ნაშრომი	5
	<b>კონცენტრაცია 3- ბუღალტრული აღრიცხვა</b>	
54.	ინფორმაციული ტექნოლოგიები აღრიცხვაში	5
55.	საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	5
56.	ბიუჯეტირება და შიდა კონტროლი	5
57.	აუდიტი	5
58.	საბაკალავრო ნაშრომი	5
	<b>კონცენტრაცია 4- ფინანსები</b>	
59.	ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები	5
60.	საჯარო ფინანსები	5
61.	ფინანსური ინვესტიციები	5
62.	ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები ფინანსურ ინდუსტრიაში	5
63.	საბაკალავრო ნაშრომი	5
	<b>არჩევითი საგნები</b>	
64.	ფირმის ეკონომიკა	5
65.	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	5
66.	სასურსათო საქონლის სამომხმარებლო თვისებები	5
67.	სამრეწველო საქონლის სამომხმარებლო თვისებები	5
68.	ეკონომიკური ანალიზი	5

69.	საფინანსო და საბანკო საქმიანობის ნორმატიული რეგულირება	5
70.	ბუღალტერი ბიზნესში	5
71.	კორპორაციული მენეჯმენტი	5